

ბანკის ამონაწერის ჩატვირთვა

ბანკიდან ამონაწერის ჩატვირთვით პროგრამაში რეგისტრირდება საბანკო ანგარიშებზე დაფიქსირებული ოპერაციები.

ბიჯი 1: ბანკიდან ამონაწერის ჩატვირთვის პარამეტრების შევსება

- ძირითად მენიუში აირჩიეთ ფულადი სახსრების ქვესისტემა
- სერვისის ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „ბანკიდან ამონაწერის ჩატვირთვა“

სერვისი

ბანკიდან ამონაწერის ჩატვირთვა

დამატებითი ანგარიშგებები

დამატებითი დამუშავებები

ვალუტის კურსების ჩატვირთვა

საგადახდო დავალებების გადატვირთვა ბანკში

- აირჩიეთ ბუღალტრული ანგარიში
- თუ ანგარიშზე მითითებულია საბანკო ანგარიში, ველი შეივსება ავტომატურად ([საბანკო ანგარიშის დამატება](#)).
- ვალუტა და ბანკი ავტომატურად ივსება საბანკო ანგარიშიდან. თუ საბანკო ანგარიში არ არის შევსებული შესაძლებელია ამ ველების ხელით შევსებაც.
- სურვილისამებრ მიუთითეთ ფილტრი პერიოდით. ჩატვირთული ამონაწერი გაიფილტრება ამ პერიოდით.

ბანკის ამონაწერის ტიპი

ბანკი განსაზღვრავს თუ რა ტიპის ამონაწერი იტვირთება პროგრამაში, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი სწორად მითითება. პროგრამაში იტვირთება შემდეგი ბანკების ამონაწერი:

ბანკი	ამონაწერი	შენიშვნა
საქართველოს ბანკი	სტანდარტული ამონაწერი, შენახული ექსელის ფაილად	
თიბისი ბანკი	სტანდარტული ამონაწერი, შენახული ექსელის ფაილად	ამონაწერის ფაილში უნდა წაიშალოს პირველი გვერდი
ლიბერთი ბანკი	სტანდარტული ამონაწერი, შენახული ექსელის ფაილად	
ბანკი ქართუ	სტანდარტული ამონაწერი, შენახული ექსელის ფაილად	
სხვა	უნივერსალური ფორმატის შაბლონი	ამონაწერის მონაცემებით უნდა შეივსოს შაბლონის ფაილი

აღნიშნული ინფორმაცია ეთითება ბანკის ცნობარზე, ველში „ბანკის ამონაწერის ტიპი“. ([ბანკის დამატება](#)).

საქართველოს ბანკი (ბანკი)

ჩაწერა და დასურვა

ბანკის საქმიანობა შეწყვეტილია


დასაწერებელი:

კოდი (IBAN): ბანკის კოდი:

ჯგუფი ბანკები:

ბანკის ამონაწერის ტიპი:

- Bank of georgia
- TBC
- Liberty
- საერთო ფორმატი
- ქართუ

თუ ბანკიდან ამონაწერის ჩატვირთვაში შევსებულია ჩამოთვლილთაგან განსხვავებული ბანკი, ველის გასწვრივ ჩნდება საერთო ფორმატის შაბლონის შენახვის ღილაკი . შაბლონი უნდა შეივსოს ამონაწერის მონაცემებით და ისე ჩაიტვირთოს პროგრამაში.

- დააჭირეთ ღილაკს „შევსება“ და აირჩიეთ შესაბამისი ამონაწერი.

ბიჯი 2: ამონაწერის ჩატვირთვის წესები

ბანკის ამონაწერში დაფიქსირებულ ოპერაციებს პროგრამა ავტომატურად უკეთებს იდენტიფიცირებას, უსადაგებს ბაზაში არსებულ მონაცემებს და გატარებას აკეთებს იდენტიფიცირებული მონაცემებით. ამისთვის გამოიყენება „ამონაწერის ჩატვირთვის წესები“. ყველა წესს მითითებული აქვს ოპერაციის ტიპი. ოპერაციის ტიპი განსაზღვრავს თუ რა დოკუმენტი შეიქმნება პროგრამაში. სტანდარტული საბანკო ოპერაციების გატარებისთვის პროგრამაში ავტომატურად უკვე დამატებულია წესები:

ფულის შემოსვლა		ფულის გასვლა	
ამონაწერის ჩატვირთვის წესი	შექმნილი დოკუმენტი	ამონაწერის ჩატვირთვის წესი	შექმნილი დოკუმენტი
თანამშრომლის მიერ თანხის შემოტანა	იქმნება დოკუმენტი „ფულის შემოსვლა ბანკში“ შესაბამისი ოპერაციის ტიპით	თანამშრომელზე თანხის გაცემა	იქმნება დოკუმენტი „ფულის გასვლა ბანკიდან“ შესაბამისი ოპერაციის ტიპით
კონვერტაცია	იქმნება დოკუმენტი „ფულის შემოსვლა ბანკში“ შესაბამისი ოპერაციის ტიპით	კონვერტაცია	იქმნება დოკუმენტი „ფულის გასვლა ბანკიდან“ შესაბამისი ოპერაციის ტიპით
მომწოდებლისგან თანხის დაბრუნება	იქმნება დოკუმენტი „ფულის შემოსვლა ბანკში“ შესაბამისი ოპერაციის ტიპით	მომწოდებლისთვის თანხის გადახდა	იქმნება დოკუმენტი „ფულის გასვლა ბანკიდან“ შესაბამისი ოპერაციის ტიპით

მყიდველისგან თანხის მიღება	იქმნება დოკუმენტი „ფულის შემოსვლა ბანკში“ შესაბამისი ოპერაციის ტიპით	მყიდველისთვის თანხის დაბრუნება	იქმნება დოკუმენტი „ფულის გასვლა ბანკიდან“ შესაბამისი ოპერაციის ტიპით
საკუთარ ანგარიშებს შორის ტრანსფერი	იქმნება დოკუმენტი „ფულის შემოსვლა ბანკში“ შესაბამისი ოპერაციის ტიპით	საკომისიო	იქმნება დოკუმენტი „ფულის გასვლა ბანკიდან“ შესაბამისი ოპერაციის ტიპით
		საკუთარ ანგარიშებს შორის ტრანსფერი	იქმნება დოკუმენტი „ფულის გასვლა ბანკიდან“ შესაბამისი ოპერაციის ტიპით
		ხაზინაში თანხის გადარიცხვა	იქმნება დოკუმენტი „ფულის გასვლა ბანკიდან“ შესაბამისი ოპერაციის ტიპით
		ხელფასის გაცემა	იქმნება დოკუმენტი „ხელფასის გადახდა“

სხვა ოპერაციებისთვის შესაძლებელია ამონაწერის ჩატვირთვის წესის დამატება. [\(ამონაწერის ჩატვირთვის წესების დამატება\).](#)

ბიჯი: 3 დოკუმენტების შექმნა

ბანკიდან ამონაწერის ჩატვირთვის ცხრილური ნაწილი გაყოფილია ორ ნაწილად:

მარცხენა (ნაცრისფერი) ნაწილი შევსებულია ამონაწერის ინფორმაციით და არის არარედაქტირებადი.

N	თარიღი	დასახელება	ს/ნ	დანიშნულება	თანხის შემოსვლა	თანხის გასვლა	კორ ანგარიში	ანალიტიკა	ვალუტა
8	06.11.2018	ელენე ბერიძე	11111111...	ზელფასი	500.00		3130	ელენე ბერიძე	GEL
2	02.11.2018	ერთიანი საგადასახადო ანგარიში	204378869	საშემოსავლო ზელფასიდან	83.75		3320		GEL
3	02.11.2018	ერთიანი საგადასახადო ან...	204378869	საშემოსავლო ზელფასი...		1.00	7480.02		GEL
4	02.11.2018	სს საქართველოს ბანკის ს...	204378869	გადახდა ორგ.0209433 დ...	6.60		P000		GEL
5	05.11.2018	გიორგი	010300220...	საქონლის ლირებულება	220.00		1410.01	BASC - Accounting ...	GEL
6	05.11.2018	ი.ბ. ელენე	400009423	საქონლის ლირებულება		15 000.00	3110.01	COMP	GEL
7	06.11.2018	შპს ორენჯ	202020202	ინვოისის # 326.	174.50		1410.01	ON - კომპიუტერუ...	GEL
					401.10	15 585.25			

თუ პროგრამამ ამონაწერის ჩატვირთვის წესით მოახდინა გატარების იდენტიფიცირება დამუშავების მარჯვენა ნაწილი ივსება ავტომატურად.

პარამეტრები

ანგარიში: 1210.01 | საბანკო ანგარიში: 12GE11311321321324567 | ვალუტა: GEL | კიდევ

ბანკი: საქართველოს ბანკი | პერიოდი: | ნაშთი: 261 818.03 | დოკუმენტები: | * | კიდევ

შევსება | წესის დაყენება | გასუფთავება | დოკუმენტების შექმნა

N	თანხის შემოსვლა	თანხის გასვლა	კორ ანგარიში	ანალიტიკა	ვალუტა	ანგარიშსწორების თანხა	ოპერაციის ტიპი	ჩატვირთვის წესი	დოკუმენტი
1	0.50	7480.02			GEL	0.50	საკომისიო	საკომისიო	
2	83.75	3320			GEL	83.75	ბანკში თანხის გადარიცხვა	ბანკში გადარიცხვა	
3	6.60	1.00	7480.02		GEL	1.00	საკომისიო	საკომისიო	
4	220.00		P000		GEL	6.60	ექვირინგის ო...		
5		1410.01		BASC - Accounting ...	GEL	220.00	მყიდველისგან თანხის მიღება	თანხის მიღება მყიდველისგან	
6		15 000.00	3110.01	COMP	GEL	15 000.00	მოწოდებლის... თანხის ...	თანხის გადახდა მოწოდებელზე	
7	174.50	1410.01		ON - კომპიუტერუ...	GEL	174.50	მყიდველისგან თანხის მიღება	თანხის მიღება მყიდველისგან	
8		500.00	3130	ელენე ბერიძე	GEL	500.00	ხელფასის გაგ...		
		401.10	15 585.25						

ამონაწერის ოპერაციაზე წესის მითითება შესაძლებელია მექანიკურადაც. ამისათვის დადებით სასურველ სტრიქონზე ან სტრიქონებზე და დააჭირეთ ღილაკს „წესის დაყენება“, გამოსულ ფანჯარაში აირჩიეთ სასურველი ამონაწერის ჩატვირთვის წესი. დანარჩენი ველები შეივსება ავტომატურად.

სტრიქონის შევსება შესაძლებელია მექანიკურად. ამისათვის მიუთითეთ ოპერაციის ტიპი, კორ ანგარიში, ანგარიშის ანალიტიკა და ვალუტა. ანგარიშსწორების თანხა შეივსება ავტომატურად.

სტრიქონში მონაცემების შევსება შესაძლებელია, სტრიქონის ნაცრისფერ ნაწილზე დაწკაპუნებით და გამოსული ფორმის შევსებით.

ბანკიდან ამონაწერის ჩატვირთვა

კიდევ ▾

თარიღი: 02.11.2015 ს/ნ: 111111111 დასაწვლად: ასოციაცია

დანიშნულება:
INVOICE N:20350631

დამატებითი ინფორმაცია: PAPERIE

კორესპოდენტის ანგარიში: 28319810200100000000

საბანკო ანგარიში: GE37PC0133600100055047

გასული თანხა: 0.00 შემოსული თანხა: 276.70

ვალუტა: ანგარიშსწორების თანხა: 0.00

ჩატვირთვის წესი:

ოპერაციის ტიპი:

ანგარიში:

OK გაუქმება

სტრიქონების შევსების შემდეგ, შევსებულ სტრიქონებზე მოინიშნება ალამი და შესაძლებელი იქნება მათზე დოკუმენტების შექმნა.

- დოკუმენტების შესაქმნელად დააჭირეთ ღილაკს „დოკუმენტების შექმნა“.

შექმნილი დოკუმენტები ჩაიწერება ველში „დოკუმენტი“ და შესაძლებელი იქნება მათი დამუშავებიდან გახსნა.

დოკუმენტის სტატუსიდან გამომდინარე სტრიქონებს ენიჭება სხვადასხვა ფერი.

N	თანხის შემოსვლა	თანხის გასვლა	კორ ანგარიში	ანალიტიკა	ვალუტა	ანგარიშსწორების თანხა	ოპერაციის ტიპი	ჩატვირთვის წესი	დოკუმენტი
1		0.50	7480.02		GEL	0.50	საკომისიო	საკომისიო	ფულის გასვლა
2	105.70		1410.01	ON - კომიუ...	GEL	105.70	მყიდველისგან თანხის მიღება	თანხის მიღება	ფულის შემოსვლა
3		83.75	3320	ბერიძე მათა 20% (ხელფასი)	GEL	83.75	ხაზინაში თანხის გადარიცხვა	ხაზინაში გადარიცხვა	ფულის გასვლა
4		1.00			GEL	1.00	საკომისიო	საკომისიო	ფულის გასვლა
5	58.85				GEL	58.85	მყიდველისგან თანხის მიღება	თანხის მიღება	ფულის შემოსვლა
6		1 694.00	1299		GEL	1 694.00	კონვერტაცია	კონვერტაცია	ფულის გასვლა
7	17.50		1410.01	BASC - Accou...	GEL	17.50	მყიდველისგან თანხის მიღება	თანხის მიღება მყიდველისგან	ფულის შემოსვლა
8		227.00	1410.01	ON - კომიუ...	GEL	227.00	მყიდველისგან თანხის მიღება	თანხის მიღება მყიდველისგან	ფულის შემოსვლა
9	10.60		1410.01	BASC - Accou...	GEL	10.60	მყიდველისგან თანხის მიღება	თანხის მიღება მყიდველისგან	ფულის შემოსვლა
10	17.50		1410.01	BASC - Accou...	GEL	17.50	მყიდველისგან თანხის მიღება	თანხის მიღება მყიდველისგან	ფულის შემოსვლა
		437.15	1 779.25						

ფერი	მნიშვნელობა	შენიშვნა
შავი	დოკუმენტი არ არის შექმნილი	სტრიქონში არ იყო შევსებული ოპერაციის ტიპი ან არ იყო მონიშნული ალამი
ნარინჯისფერი	დოკუმენტი შექმნილია	სტრიქონში არ იყო შევსებული ერთერთი ველი და დოკუმენტი ვერ გატარდა
მწვანე	დოკუმენტი გატარებულია	დოკუმენტი წარმატებით გატარდა
წითელი	ამონაწერში მოიძებნა სტრიქონები მსგავსი ჩანაწერებით	(ერთნაირი გასაღების მქონე ჩანაწერების გატარება ბანკის ამონაწერიდან)

შენიშვნა: შეუქმნელი ან გაუტარებელი დოკუმენტების სანახავად შეგიძლიათ გამოიყენოთ დოკუმენტების ფილტრი.

საბანკო ანგარიშის დამატება

საბანკო ანგარიშის დამატება შესაძლებელია ბუღალტრული ანგარიშის ბარათიდან „საბანკო ანგარიშის“ ველზე არჩევა ღილაკზე დაჭერით.

- დააჭირეთ ღილაკს „შექმნა“
- მფლობელი ავტომატურად შეივსება კომპანიით. თუმცა შესაძლებელია სხვა ტიპის მფლობელის შევსებაც (თანამშრომელი, კომპანია, მომწოდებელი, მყიდველი). საბანკო ანგარიში შეიქმნება შესაბამისი ტიპისთვის.
- შეავსეთ ანგარიშის ნომერი
- იმ შემთხვევაში თუ ანგარიში მულტისავალუტოა მონიშნეთ ალამი „მულტისავალუტო“, წინააღმდეგ შემთხვევაში აირჩიეთ ვალუტა

საბანკო ანგარიში (შექმნა) *

კიდევი ?

მფლობელი:

ანგარიშის ნომერი:
 მულტისავალუტო:
 ვალუტა:

ბანკი, რომელშიც გახსნილია ანგარიში

ბანკის კოდი:
 ბანკის ფილიალი:

დასაწვლელი:

ბანკი:

- მიუთითეთ „ბანკი“, რომელშიც გახსნილია ანგარიში ([როგორ დავამატო ბანკი](#)). ბანკის არჩევისას ავტომატურად ივსება „ბანკის კოდი“
- დააჭირეთ ღილაკს „ჩაწერა და დახურვა“, რის შედეგადაც საბანკო ანგარიში ავტომატურად მიეთითება ანგარიშზე.

შენიშვნა: ანგარიშის დასახელება ავტომატურად ივსება საბანკო ანგარიშის ნომრის, ბანკისა და ვალუტის მიხედვით.

საბანკო ანგარიშის დამატება ასევე შესაძლებელია ფულადი სახსრების ქვესისტემაში, მენიუს პუნქტის, „საბანკო ანგარიშები“, არჩევით.

ამონაწერის ჩატვირთვის წესების დამატება

- ძირითად მენიუში აირჩიეთ ფულადი სახსრების ქვესისტემა
- საცნობარო ინფორმაციის ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „ამონაწერის ჩატვირთვის წესები“
- აირჩიეთ ფულის შემოსვლა ან ფულის გასვლა გასატარებელი ოპერაციიდან გამომდინარე.
- დააჭირეთ ღილაკს „შექმნა“

ამონაწერის ჩატვირთვის წესები (შექმნა) *

ჩაწერა და დაწურვა ჩაწერა კიდევ

ძირითადი მონაცემები

ოპერაციის ტიპი: მყიდველისგან თანხის მიღება 1

დასახელება: მყიდველისგან თანხის მიღება

კოდი:

პრიორიტეტულობა: დამაზუსტებელი 2

არ გამოიყენება: 3

შვსების პარამეტრები 4

მყიდველი

რელშეკრულება მყიდველთან

ანგარიში

ვალუტა

ძიების პარამეტრები 5

ანალი ელემენტის დამატება პირობების დაჯგუფება წაშლა კიდევ

ველი	შეღარების სახე	მნიშვნელობა
შერჩევა		
<input checked="" type="checkbox"/>	მოიძებნოს მყიდვე...	ტოლია დიან

1. ოპერაციის ტიპი

ოპერაციის ტიპი უნდა მიეთითოს გასატარებელი ოპერაციის მიხედვით. ამ ველზეა დამოკიდებული თუ რა დოკუმენტები შეიქმნება პროგრამაში ამონაწერის ჩატვირთვის შედეგად და რა მონაცემები შეივსება მასში. თითოეულ ოპერაციის ტიპს აქვს განსაზღვრული მონაცემები და ქმნის განსაზღვრულ დოკუმენტს. წესში ასარჩევი ოპერაციის ტიპები დამოკიდებულია ფულის შემოსვლაზე იქმნება წესი თუ ფულის გასვლაზე. წესის ტიპიდან გამომდინარე მისაწვდომია ფულის შემოსვლასთან და ფულის გასვლასთან დაკავშირებული ოპერაციის ტიპები.

2. პრიორიტეტულობა

ველი განსაზღვრავს ამონაწერის ჩატვირთვის წესის პრიორიტეტულობას. ზოგადი განსაზღვრავს სტანდარტულ წესს, ხოლო დამაზუსტებელი - პრიორიტეტულს. თუ ბანკიდან ამონაწერის ჩატვირთვაში, ოპერაცია მიესადაგა ორ განსხვავებულ ამონაწერის წესს, დამუშავებაში შეივსება დამაზუსტებელი სტატუსის წესი.

3. არ გამოიყენება

აღმის მონიშვნის შემთხვევაში ამონაწერის ჩატვირთვის წესი გახდება უმოქმედო.

4. შევსების პარამეტრები

შევსების პარამეტრები განსაზღვრავს თუ რა მონაცემებით შეივსება დოკუმენტი გატარებისას. პარამეტრები დამოკიდებულია ოპერაციის ტიპზე. ყველა ოპერაციის ტიპს აქვს თავისი პარამეტრები ანალიტიკებიდან გამომდინარე.

5. ძიების პარამეტრები

ძიების პარამეტრები გამოიყენება ამონაწერში ინფორმაციის მოძიებისთვის და მოძიებული ინფორმაციით ხდება ამონაწერის ჩატვირთვის წესის იდენტიფიცირება. წესის შექმნისას ძიების პარამეტრები ავტომატურად ივსება ოპერაციის ტიპის მიხედვით, თუმცა შესაძლებელია მათი მექანიკურად აწყობა.

ოპერაციის ტიპები

მყიდველისგან თანხის მიღება

ოპერაციის ტიპით პროგრამაში ტარდება მყიდველისგან მიღებული თანხა. ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ფულის შემოსვლა ბანკში“, მითითებული ოპერაციის ტიპით. ძიების პარამეტრებში სტანდარტულად დაყენებულია ელემენტი: „მოიძებნოს მყიდველებში“. ოპერაციის ტიპს აქვს ოთხი შევსების პარამეტრი:

პარამეტრი	შევსება	აღწერა
მყიდველი	დაყენება	კონკრეტული მყიდველის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ავტომატური ძებნა	მყიდველების ცნობარში საიდენტიფიკაციო კოდით, ანგარიშის ნომრით და დასახელებით ძებნა
მყიდველის ხელშეკრულება	დაყენება	მყიდველის კონკრეტული ხელშეკრულების დაყენება

	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ანალიტიკის მიხედვით	მყიდველის ძირითადი ხელშეკრულებით შევსება
ანგარიში	დაყენება	მყიდველების ან ზოგადი კლასის კონკრეტული ანგარიშის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ანალიტიკის მიხედვით	მყიდველის ბარათზე მითითებული ანგარიშით შევსება
ვალუტა	დაყენება	კონკრეტული ვალუტის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ანალიტიკის მიხედვით	მყიდველის ბარათზე მითითებული ვალუტით შევსება

მყიდველისთვის თანხის დაბრუნება

ოპერაციის ტიპით პროგრამაში ტარდება მყიდველისთვის დაბრუნებული თანხა. ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ფულის გასვლა ბანკიდან“, მითითებული ოპერაციის ტიპით. ძიების პარამეტრებში სტანდარტულად დაყენებულია ელემენტი: „მოიძებნოს მყიდველებში“. ოპერაციის ტიპს აქვს ოთხი შევსების პარამეტრი:

პარამეტრი	შევსება	აღწერა
მყიდველი	დაყენება	კონკრეტული მყიდველის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ავტომატური ძებნა	მყიდველების ცნობარში საიდენტიფიკაციო კოდით, ანგარიშის ნომრით და დასახელებით ძებნა
მყიდველის ხელშეკრულება	დაყენება	მყიდველის კონკრეტული ხელშეკრულების დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ანალიტიკის მიხედვით	მყიდველის ძირითადი ხელშეკრულებით შევსება
ანგარიში	დაყენება	მყიდველების ან ზოგადი კლასის კონკრეტული ანგარიშის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა

	ანალიტიკის მიხედვით	მყიდველის ბარათზე მითითებული ანგარიშით შევსება
ვალუტა	დაყენება	კონკრეტული ვალუტის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ანალიტიკის მიხედვით	მყიდველის ბარათზე მითითებული ვალუტით შევსება

მომწოდებლისთვის თანხის გადახდა

ოპერაციის ტიპით პროგრამაში ტარდება მომწოდებლისთვის გადახდილი თანხა. ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ფულის გასვლა ბანკიდან“, მითითებული ოპერაციის ტიპით. ძიების პარამეტრებში სტანდარტულად დაყენებულია ელემენტი: „მოიძებნოს მომწოდებლებში“. ოპერაციის ტიპს აქვს ოთხი შევსების პარამეტრი:

პარამეტრი	შევსება	აღწერა
მომწოდებელი	დაყენება	კონკრეტული მომწოდებლის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ავტომატური ძებნა	მომწოდებლების ცნობარში საიდენტიფიკაციო კოდით, ანგარიშის ნომრით და დასახელებით ძებნა
მომწოდებლის ხელშეკრულება	დაყენება	მომწოდებლის კონკრეტული ხელშეკრულების დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ანალიტიკის მიხედვით	მომწოდებლის ძირითადი ხელშეკრულებით შევსება
ანგარიში	დაყენება	მომწოდებლების ან ზოგადი კლასის კონკრეტული ანგარიშის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ანალიტიკის მიხედვით	მომწოდებლის ბარათზე მითითებული ანგარიშით შევსება
ვალუტა	დაყენება	კონკრეტული ვალუტის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ანალიტიკის მიხედვით	მომწოდებლის ბარათზე მითითებული ვალუტით შევსება

მომწოდებლისგან თანხის დაბრუნება

ოპერაციის ტიპით პროგრამაში ტარდება მომწოდებლისგან დაბრუნებული თანხა. ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ფულის შემოსვლა ბანკში“, მითითებული ოპერაციის ტიპით. ძიების პარამეტრებში სტანდარტულად დაყენებულია ელემენტი: „მოიძებნოს მომწოდებლებში“. ოპერაციის ტიპს აქვს ოთხი შევსების პარამეტრი:

პარამეტრი	შევსება	აღწერა
მომწოდებელი	დაყენება	კონკრეტული მომწოდებლის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ავტომატური ძებნა	მომწოდებლების ცნობარში საიდენტიფიკაციო კოდით, ანგარიშის ნომრით და დასახელებით ძებნა
მომწოდებლის ხელშეკრულება	დაყენება	მომწოდებლის კონკრეტული ხელშეკრულების დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ანალიტიკის მიხედვით	მომწოდებლის ძირითადი ხელშეკრულებით შევსება
ანგარიში	დაყენება	მომწოდებლების ან ზოგადი კლასის კონკრეტული ანგარიშის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ანალიტიკის მიხედვით	მომწოდებლის ბარათზე მითითებული ანგარიშით შევსება
ვალუტა	დაყენება	კონკრეტული ვალუტის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ანალიტიკის მიხედვით	მომწოდებლის ბარათზე მითითებული ვალუტით შევსება

თანამშრომლის მიერ თანხის შემოტანა

ოპერაციის ტიპით პროგრამაში ტარდება ანგარიშვალდებული პირის მიერ შემოტანილი თანხა. ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ფულის შემოსვლა ბანკში“, მითითებული ოპერაციის ტიპით. ძიების პარამეტრებში სტანდარტულად დაყენებულია ელემენტი: „მოიძებნოს თანამშრომლებში“. ოპერაციის ტიპს აქვს ორი შევსების პარამეტრი:

პარამეტრი	შევსება	აღწერა
თანამშრომელი	დაყენება	კონკრეტული თანამშრომლის დაყენება

	საბანკო ანგარიშის მიხედვით	თანამშრომლების ცნობარში ანგარიშის ნომრით ძებნა
	ავტომატური ძებნა	თანამშრომლების ცნობარში საიდენტიფიკაციო კოდით, ანგარიშის ნომრით და დასახელებით ძებნა
ანგარიში	დაყენება	ანგარიშვალდებული პირის, ხელფასის ან ზოგადი კლასის კონკრეტული ანგარიშის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ანალიტიკის მიხედვით	

თანამშრომელზე თანხის გაცემა

ოპერაციის ტიპით პროგრამაში ტარდება ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული თანხა. ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ფულის გასვლა ბანკიდან“, მითითებული ოპერაციის ტიპით. ძიების პარამეტრებში სტანდარტულად დაყენებულია ელემენტი: „მოიძებნოს თანამშრომლებში“. ოპერაციის ტიპს აქვს ორი შევსების პარამეტრი:

პარამეტრი	შევსება	აღწერა
თანამშრომელი	დაყენება	კონკრეტული თანამშრომლის დაყენება
	საბანკო ანგარიშის მიხედვით	თანამშრომლების ცნობარში ანგარიშის ნომრით ძებნა
	ავტომატური ძებნა	თანამშრომლების ცნობარში საიდენტიფიკაციო კოდით, ანგარიშის ნომრით და დასახელებით ძებნა
ანგარიში	დაყენება	ანგარიშვალდებული პირის, ხელფასის ან ზოგადი კლასის კონკრეტული ანგარიშის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ანალიტიკის მიხედვით	

ტერმინალიდან თანხის მიღება

ოპერაციის ტიპით პროგრამაში ტარდება საბანკო ტერმინალით გადახდილი თანხების საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვა. ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ფულის შემოსვლა ბანკში“, მითითებული ოპერაციის ტიპით. ოპერაციის ტიპს აქვს სამი შევსების პარამეტრი:

პარამეტრი	შევსება	აღწერა
ანგარიში	დაყენება	ექვარიზინგის, ბანკის ან ზოგადი კლასის კონკრეტული ანგარიშის დაყენება

ექვაიერი	დაყენება	ტერმინალის ექვაიერის დაყენება (მყიდველების ცნობარიდან)
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
საბანკო ტერმინალი	დაყენება	კონკრეტული ბანკის POS ტერმინალის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა

განაღდება ბარათით

ოპერაციის ტიპით პროგრამაში ტარდება საბანკო ბარათით განაღდებული თანხა. ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ფულის გასვლა ბანკიდან“, მითითებული ოპერაციის ტიპით. ოპერაციის ტიპს აქვს ერთი შევსების პარამეტრი:

პარამეტრი	შევსება	აღწერა
ანგარიში	დაყენება	ანგარიშვალდებული პირის, ხელფასის ან ზოგადი კლასის კონკრეტული ანგარიშის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ანალიტიკის მიხედვით	

ბაზინაში თანხის გადარიცხვა

ოპერაციის ტიპით პროგრამაში ტარდება ბიუჯეტში გადარიცხული თანხები. ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ფულის გასვლა ბანკიდან“, მითითებული ოპერაციის ტიპით. ოპერაციის ტიპს აქვს ერთი შევსების პარამეტრი:

პარამეტრი	შევსება	აღწერა
ანგარიში	დაყენება	სხვადასხვა გადასახადების ან ზოგადი კლასის კონკრეტული ანგარიშის დაყენება

საკუთარ ანგარიშებს შორის ტრანსფერი

ოპერაციის ტიპით პროგრამაში ტარდება კომპანიის საბანკო ანგარიშებს შორის გადარიცხული თანხები. თუ ამონაწერში დაფიქსირებულია ფულის შემოსვლა, ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ფულის შემოსვლა ბანკში“, მითითებული ოპერაციის ტიპით. თუ ამონაწერში დაფიქსირებულია ფულის გასვლა, ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ფულის გასვლა ბანკიდან“, მითითებული ოპერაციის ტიპით. მიების პარამეტრებში სტანდარტულად დაყენებულია ელემენტი: „საკუთარი საბანკო ანგარიში“. ოპერაციის ტიპს აქვს ერთი შევსების პარამეტრი:

პარამეტრი	შევსება	აღწერა
ანგარიში	დაყენება	ბანკის ან ზოგადი კლასის შუალედური კონკრეტული ანგარიში

	საბანკო ანგარიშის მიხედვით	ანგარიშთა გეგმაში მიბმული საბანკო ანგარიშის ნომრით ძებნა
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა

კონვერტაცია

ოპერაციის ტიპით პროგრამაში ტარდება საბანკო ანგარიშებს შორის ვალუტის კონვერტაცია. თუ ამონაწერში დაფიქსირებულია ფულის შემოსვლა, ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ფულის შემოსვლა ბანკში“, მითითებული ოპერაციის ტიპით. თუ ამონაწერში დაფიქსირებულია ფულის გასვლა, ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ფულის გასვლა ბანკიდან“, მითითებული ოპერაციის ტიპით. ძიების პარამეტრებში სტანდარტულად დაყენებულია ელემენტები: „საკუთარი საბანკო ანგარიში“, „ოპერაციის ტიპი“ შეიცავს კონვერტაციის ტიპს CCO ან „დანიშნულება“ შეიცავს „კონვერტაციას“. ოპერაციის ტიპს აქვს ერთი შევსების პარამეტრი:

პარამეტრი	შევსება	აღწერა
ანგარიში	დაყენება	ზოგადი კლასის კონკრეტული შუალედური ანგარიში

სხვა

ოპერაციის ტიპით პროგრამაში შესაძლებელია სხვა, არასტანდარტული ოპერაციების გატარება. თუ ამონაწერში დაფიქსირებულია ფულის შემოსვლა, ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ფულის შემოსვლა ბანკში“, მითითებული ოპერაციის ტიპით. თუ ამონაწერში დაფიქსირებულია ფულის გასვლა, ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ფულის გასვლა ბანკიდან“, მითითებული ოპერაციის ტიპით. ოპერაციის ტიპს აქვს ერთი შევსების პარამეტრი:

პარამეტრი	შევსება	აღწერა
ანგარიში	დაყენება	სხვადასხვა კლასის ანგარიში

ხელფასის გაცემა

ოპერაციის ტიპით პროგრამაში ტარდება თანამშრომლებზე გადახდილი ხელფასები. ამონაწერის ჩატვირთვით იქმნება დოკუმენტი „ხელფასის გადახდა“. ამონაწერის ჩატვირთვის დროს ერთ თარიღში გადახდილი ხელფასები ჯგუფდება და იქმნება ერთი ხელფასის გადახდის დოკუმენტი. ძიების პარამეტრებში სტანდარტულად დაყენებულია ელემენტები: „მოიძებნოს თანამშრომლებში“ და „დანიშნულება“ შეიცავს „ხელფასს“. ოპერაციის ტიპს აქვს ორი შევსების პარამეტრი:

პარამეტრი	შევსება	აღწერა
თანამშრომელი	დაყენება	კონკრეტული თანამშრომლის დაყენება
	საბანკო ანგარიშის მიხედვით	თანამშრომლების ცნობარში ანგარიშის ნომრით ძებნა
	ავტომატური ძებნა	თანამშრომლების ცნობარში საიდენტიფიკაციო კოდით, ანგარიშის ნომრით და დასახელებით ძებნა

ანგარიში	დაყენება	ხელფასის, ანგარიშვალდებული პირის ან ზოგადი კლასის კონკრეტული ანგარიშის დაყენება
	გამოთვლა	მონაცემების მიხედვით პროგრამული ენით გამოთვლა
	ანალიტიკის მიხედვით	დარიცხვის ტიპში მითითებული ანგარიშით შეესება